



წიგნი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/975

ქ. თბილისი

11 03 20 20

დისერტაციის დაცვის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს დოქტორანტ რატი გურგენიძის (პირადი ნომერი 01001041563) დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც 2014 წლის 6 ოქტომბრის №2523/05 ბრძანებით ჩაირიცხა სადოქტორო პროგრამა „საჯარო მმართველობაზე“ და არა აქვს აკადემიური დავალიანება. სადისერტაციო თემა: „ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა: ეფექტიანი თანაფარდობის პრობლემები და მათი გადაჭრის მექანიზმები“. სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი ალფრედ კურატაშვილი; რეცენზენტები: მოწვეული აკადემიური დოქტორი დავით შამოევი (სტუ), საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი შორენა ჭუმბურიძე (ადვოკატთა ასოციაციის წევრი, დამოუკიდებელი ადვოკატი).
2. დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 14 მარტს 15:00 საათზე სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, შეხვედრების ოთახი.

რექტორი

დავით გურგენიძე